სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 735

დამატების № 129

კვირა, 28 ოქტომბერი 1912 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიჩუმის გოდოლი

ისტორიული მოთხრობა

ვ. პესგუდისა.

დასასრული *)

— მიშველეთ!—დაიყვირა მან, რა დაინახა კაცი და ქალი! მომეხმარეთ! მე საყვარელი მსახური ვარ ტირის მპყრობელისა!—მე ვარ „მეფის ვეფხი“! ჩემი სახელი იაკინლუა. ფალესის სახელით გიბძანებთ გამანთავისუფლოთ აქედან!—

— მოიცა ჯერ! მოასწრებ კიდე! დაუყვირა ქვევიდან მოხუცმა.

იაკინლუმ იცნო ეს ხმა.

— მაწანწალავ! ჭიავ! მე შენ გაგსრეს—დაიყვირა იაკინლუმ მაღლიდან.

— მანამ ცეცხლი, ჩაგნთქავს შენ!—მე და ილისს კი დავსტკბებით შენის ქცერით.—შენ გულადი ხარ! ცეცხლში არ მოინდომებ დაწვას... შენ თითონ მოიკლავ შენს თავსა!

იაკინლუმ არ იცოდა როგორ ეხსნა თავი. იქ გაჩერება შეუძლებელი იყო, რადგან ცეცხლი მაღლა იწევდა და შესაძლო იყო რომ მას შთანთქავდა. გადმოხტომასაც ვერა ჰბედავდა ამ სიმაღლიდან.—მან დაიწყო იარაღის და ტანისამოსის მოხსნა.

— გადმოხტა!—დაიძახა ილისსმა.

— მოკვდა? წავიდეთ, ვნახოთ! როდესაც ისინი მივიდნენ—იაკინლუ შეინძრა, ამოიკვნესა და წამოიწია.

— შემიბრალეთ! შემიბრალეთ!—ევედრებოდა ის მოხუცს.

— შენ კი იბრალებდი ვისმეს?

— მე მოგცემთ მთელ ჩემს ქონებას, ჩემს სიმდიდრეს.—მე შენ ისე მიყვარდი—ილისს.—გამიგონე, თუ გინდა მოვიყვან ამაყ იეზაველს და შენ ფეხთა წინ დავაგდებ! ოღონდ შემიბრალეთ! ნუ მომკლავთ! გევედრებით.

— ნუ მოჰკლავ! — უთხრა ილისსმა.—მე მიპატიებია ამისთვის.

— შენ ნება არა გაქვს, ბავშვო, ამის პატიებისა! თითონ არ იცი, რას სჩადიხარ.—მან ორჯელ დაჰკრა ხანჯალი და იქვე მოჰკლა ბოროტი იაკინლუ.

— ეხლა კი წავიდეთ! აქ მეტი საქმე აღარა გვაქვს.

VI

— გაიღვიძე, მამა!—ეუბნებოდა იეზაველ ფალესს, რომელსაც მისძინებოდა სკამზე.—მოახლოვდა საათი ჩემის შურისძიებისა! ჩემის სიხარულისა! მოლოხი ელოდება თავის მსხვერპლს! იგი ფერფლად აქცევს უკანასკნელ მემკვიდრეს ხიმარისას!—

გალიკანეთის ომი

ჩერნოგორიის არტილერია ოსმალეთის ციხე-სიმაგრე—ტუზას ზარბაზანს უშენს. (ეს ციხე ეხლა უკვე აღებული აქვთ).

ტუზას მეციხოვნე ჯარი ჩერნოგორელებს იარაღს აბარებს.

პოდგორიცის მეციხოვნე ჯარის სარდალი ალიბეი, დატყვევებული, ჩერნოგორიის მეფესთან მიჰყავთ.

— შეხედე, ილისს! იმ უმსგავსს უნდა თავი დაიმჩატოს.

— რას აპირებს?

— უნდა გადმოხტეს იქიდან და რომ ძალიან მძიმედ არ დავარდეს—ის იშორებს ყველაფერს.

— განა ასე გვიან არის?—ჰკითხა ფალესმა.—მე მართლაც ჩამთვლიმა!—ის შეინძრა და მარჯვენა ხელი ასწია მაღლა. იმ წამსვე ტაძარში სიჩუმე ჩამოვარდა.—

— მზათა ხართ, მონებო?

— ჩვენ მზათა ვართ!—ხმა გასცეს.—

*) იხ. სურათებიანი დამატება № 128.

— მზათა ხარ შენ, მირბალ?—მიუბრუნდა ფალეს ამაყად მდგარ ყმაწვილს.

— მზადა ვარ!

ფალესმა ხელი გაიქნია.

— შეაგდეთ ცეცხლში! დაიძახა მან.

მირბალს გარს შემოეხვივნენ სიმღერით და ცეკვით რომ მიეყვანათ გახურებულ ხართან, მაგრამ მან ხელი გაიქნია და ყველანი მიჰფანტ-მოჰფანტა.

ამ დროს შესავალში მოისმა ყვირილი:

— ილისს! ილისს! ხიმარის ბეჭედი!

ხალხი გაირღვა და ფალესის და იეზაველის წინ წარსდგა ახოვანი ტანის ილისს. ფალესს ნახევრად გულწასული მიესვენა სკამზე.

— აჩრდილნი დგებიან სამარიდან.—წაილუღლუღა მან.

— მე მოგიტანე ბეჭედი ხიმარისა. —უთხრა ილისსმა და მან მაღლა ასწია ხელი, რომელშიაც ბეჭედი ჰქონდა.

— ხედავთ, ხალხო, ამას? ეს არის ბეჭედი თქვენი დიდებულის და ბრძენის ხიმარისა, ამ ტაძრის ამშენებლისა!

იცანით თუ არა?

— ვიცანით! ვიცანით!

ეგ არის! ეგ! — ჰყვიროდა ხალხი.

— მირბალ თავისუფალია!

— გაუმარჯოს მირბალს, ხიმარის მემკვიდრეს!

ერთი წამის შემდეგ ჰაერში გაიელვა ხმლებმა. ხალხი აირია, ყველა სცდილობდა თავის შველას, ყველანი ერთმანეთს სრესდნენ. ფალესის მცველები უსულოდ ეყარნენ ტახტთან. ყოველი მხრიდან ისმოდა ყვირილი, იარაღის ჩხარუნი.

— გაუმარჯოს მირბალს! ტირის მპყრობელს! სიკვდილი ფალესს, სისხლის მსმელს! სიკვდილი იეზაველს!

ისტორია შემდეგს მოგვითხრობს: ფალესი ნახეს მკვდარი ვაალმოლოხის ტაძარში. შიშისაგან გული გახეთქოდა.

ტირის ქალებმა ჯავრი იყარეს იეზაველზე: მას შემოახიეს ძვირფასი ტანსაცმელი, მოაგლიჯეს ოქროს ჯიღა თავიდან, ხელებიდან ბეჭდები და სამაჯურები.--შიშველი გამოაგდეს გარედ. ის ლარბოდა ტირის ქუჩებზე.—ხალხი ქვებით ჰქოლავდა მას—როდესაც მოჰკლეს იმის ტანს დაესია ძაღლები და დაიტაცეს თითო-თითო ნაჭრად.

ამ ამბის შემდეგ ტირის ტახტზე ავიდა მირბალ. ნეფობდა დიდხანს. იყო დიდებული, ძლიერი და ტირი ხაროობდა. მირბალს უწოდეს სახელად „მირბალ ბედნიერი“. მეუღლე ამისა იყო ილისს. მშვენიერი ილისს, რომელსაც ეძახდნენ ტირის ვარსკვლავს.

ეფ. მესხი.



ნაკვთები დღიურიდან

2 ოქტომბერი.

ბევრი იტყვის:—ამ ნაწერში სიმბოლიური სული ტრიალებსო!.. სიმბოლოსი რა მოგახსენოთ და ავადმყოფობის დროს ნაბოდები რომ არის, ეს კი აშკარაა...

ბევრიც იტყვის სისულელეა, მტკნარი სისულელეაო!.. იქნება მართალიც იყოს, ჩემო კარგო, მხოლოდ არ ვიცი, მე ვარ სულელი, თუ თვით სიყვარულია სისულელე?!..

6 ოქტომბერი.

დღეს დავინახე... დიახ, ჩემის თვალით დავინახე, რომ ის ვიღაცა სამხედრო პირს მისდევდა ხელ-გაყრილი და იცინოდა, ო, ღმერთო ჩემო როგორ მადიანათ ჭუკჭუკებდა... მე მხოლოდ ორჯერ მინახავს ისეთი ღიმილი: ერთხელ თეატრში როლის ასრულების დროს და ერთიც ეხლა. ჰო და რომ დამინახა—აილეწა, წარბ-წამწამი აახამხამა და გაწითლდა, ღმერთმანი გაწითლდა... ჰო და სჩანს, რაღაცა იგრძნო ჩემის დანახვით, სჩანს, კიდევ ადგილი მაქვს მის გულში, სჩანს, ის ფიქრობს ჩემზე, სჩანს!.. სჩანს!.. ხომ ასეა?..

იხითხითე, ინავარდე, ჩემო კარგო, მე იმითიც კი მადლობელი ვარ, რომ ჩემმა დანახვამ შენ სიწითლე მოგგვარა!..

7 ოქტომბერი.

როცა ტუჩ-შეკუმშულს კოკორს სინათლის ფრქვევა, მოუნდება, — გააპობს ბაგეს და კბილებიდან გამონაკრთობ შუქით ჩვენს ხეივანს სხივებში გაჰხვევს ხოლმე!.. შენ კი ჩამციებიხარ, მზე ანათებსო! რის მზე, რა მზე! ეს სულ კოკორის ოინებია ჩემო კარგო!..

10 ოქტომბერი.

უცნაური ადამიანი ხარ!.. უცნაურზე უცნაური!.. ვერ მოგხიბლე, ვერ შეგაყვარე მე უბედურმა ჩემი თავი და რა წყალში გადავარდე?..

ეჰ, ვინ მოსთვლის თუ შენზედ ფიქრით შენს სურათზე რამდენჯერ გამითენებია თეთრად ღამე!.. ვინ მოსთვლის, ვინ, თუ შენი კარების ბჭესთან რამდენჯერ მიღვრია ალისფერი ცრემლი... ეს თქვენმა გალიის შაშვმაც კი იცის!.. რა არა ვსცადე, ჩემო კარგო, რა არ დავსწერე, თვით ნიავიც კი ვერ მასწრობდა შენს პირველ კოცნას, მაგრამ მაინც ეგ შენი გული, ეგ სტამბოლის მარმარილო—ვერ გავადნე, ვერა და ვერა!..

ნუ თუ მართლა შენს ქვა-მკერდზე მე თვით უნდა გავლესო დანა ჩემს გულში ჩასაცემად?..

11 ოქტომბერი.

შარშანაც სწორედ ეს დრო იყო: გახსოვს სეირნობიდან სახლისაკენ დაბრუნებისას, შენ მიმითითე ქვის მტვრეველზე, რომელიც ქვათა ნანგრევში ჩამალულიყო და ამსხვრევდა მას! შენ მითხარ: არ გინდა შენც ქვის მტვრეველი იყოო!.. გახსოვს, მეც რომ გიპასუხე: მაშინ, ხომ შენი დამსხვრევა მოჰინდება, რადგან შენს ქვა-გულს ვერაფერი ვაგრძნობინე—მეთქი!..

ეს იყო შარშან, ჩემო კარგო, და დღეს კი ნება მიბოძე, ბოდიში მოვიხადო იმ სიტყვებისთვის, რადგან დღეს შენი გული დამსხვრეული დამიხვდა და ძისი ნატეხებიც სხვის სარეცელში ვიპოვე!..

გალკანეთის ომი

ოსმალეთის ქვეითა ჯარი ადრიანოპოლისაკენ მიემართება.

ბულგარეთის ჯარი თხრილებშია ჩასაფრებული.

12 ოქტომბერი.

ნიცშემ სთქვა: პირველი კოცნის შემდეგ გაექეცით ქალსო; მე კი მინდა, პირველი კოცნის შემდეგ შევქმნა საუკუნო ბედნირება...

ყველას თავის განცდა აქვს, ჩემო კარგო, რათა გწყინს?

14 ოქტომბერი.

ორმოცდა ერთი გრადუსი სიცხე მაქვს და ბურანში ვლივლივებ: აი ვითომ ის ჩემთან, ჩემს სარეცელთან ზის და მეფერება, მანუგეშებს, მილოლიავებს!. აი შესრულდა კიდეც საათის ორი... (ის მზის სხივებზე იგებს დროს) და წამლებს მაპკურებს! აი, ვგრძნობ, იმის თოვლის ტუჩი როგორ დაადნა ჩემს ცეცხლის ტუჩებს. ვიცინი გიჟივით!.. ვიცინი და ვხარობ! ეს ხომ ოცნებაა!.. ჰო და, ოცნებაც რომ არ არსებობდეს, მაშ რაღა ეშველება ჩვენს უნუგეშო სიყვარულს?!

15 ოქტომბერი.

არა, არ მინდა!.. ცხვირსახოცს ნუ მომცემ სახსოვრად, ამბობენ შეძულება იცისო. მე კი არ მინდა, რაღაც ცხვირსახოცის გამო დავშორდეთ ერთმანეთს! სხვა რამე იყოს კიდევ ჰო! არა, ცხვირსახოცი არ მინდა სახსოვრად!..

ერთი გრძნობით გამიღიმე და ეს უფრო საუკუნო სახსოვარი იქნება!..

17 ოქტომბერი.

გეყოფა, ადამიანო, გეყოფა მაგდენი ბღაჯნა, ჩაი გაგიცივდაო, მეუბნება ამას, როცა ჩემს საწერ-მაგიდას ვუზივარ და ვმუშაობ... დიახ! ის, ის ჩემი ცოლია და ჩემს ნაწერებს ნაბღაჯნს ეძახის!.. როგორ მოგწონთ, ჰა!.. ეხ, იყო დრო, როცა ის ჩემის ნაწერებით სულდგმულობდა, მაგრამ დღეს კი ის ჩემი ცოლია... ცოლი! ცოლი! ჰმმ!!.. რა პროზაა...

19 ოქტომბერი.

შენ წითელი ვარდი მთხოვე მაშინ, როდესაც ჩემს ბაღჩაში სულ თეთრი ვარდები ჰყვაოდნენ!.. რა უნდა მექნა? დავაგე გული ეკლის ბუჩქს და გადმონადენი სისხლით ის თეთრი ვარდი წითლად შეგიღებე...

მხოლოდ ეს მითხარ, ჩემო კარგო, ეგ ვარდი უფრო ადრე დასჭკნება თუ შენი სიყვარული?

ი. გრიშაშვილი.

ცოლი

მოთხრობა ვლ. ლენსკისა.

დავიწყებულ დღიურიდან.

მახსოვს პირველი თრთოლა სიყვარულისა, რომელსაც ერთს, ჩემთვის დაუვიწყარ საღამოს, მთელი ჩემი არსება ჰგრძნობდა.

ვუკოცნიდა ხელებს იმ დროს, როდესაც მას არ ვუყვარდი. ტუჩების დაკოცნას ვპირდებოდი მაშინ, როდესაც შემიყვარებდა და კოცნაზე კოცნითვე მიპასუხებდა.

ერთხელ, ბინდისას, მასთან მივედი. იგი წამოწოლილი იყო; გვერდით დავუჯექ, ავიღე მისი ხელი და ტუჩებზე მაგრად მივიკარი. ნაზად გაინთავისუფლა ხელი და ალერსიანად პირისახეზე გადმისვა... ნაზი, მხურვალე ალერსი... სისხლი მეცა თავში... გულმა სასიამოვნოდ დამიწყო ძგერა, შეუპოვრად მის ტუჩებს წავეტანე...

მთელს ჩემს სიცოცხლეში ტუჩებში ქალს პირველადა ვკოცნიდი. რაღათაც მეშინოდა, მაგრამ მაინც მის ლამაზს ტუჩებს ვეწაფებოდი. გადაიზნიქა თავი და ორივე ხელი კისერზე მომხვია. ტუჩი ტუჩს ჩავაკონეთ.

— გიყვარვარ? ჰო?—ვეკითხებოდი სიყვარულის ბედნიერებით დაბნედილი.

მაგრამ პასუხი არ მინდოდა. „მას ვუყვარვარ, ვუყვარვარ, ვუყვარვარ“!.. უანგარო სიყვარული, ხელ-ახლად მის ტუჩებისკენ მიზიდავდა, და მეც თავდავიწყებით ველოდი სიყვარულს. ისიც მკოცნიდა.

II

პოეტური არსება, ლექსებზე და რომანებზე გაზრდილი —დიასახლისის უფლებით ჩემს სახლში შემოვიდა. ღმერთო ჩემო, განა ეს შესაძლებელია? გესმით მისი საშინელი კივილი:

„მაშო, შე სავარმე? ათასჯერ მითქვამს შენთვის, სავარძელის ქვეშაც გამოგავო! რაო? სიტყვასაც მიბრუნებ? უი, შე, სალახანავ!

გალკანეთის ომი



ბულგარეთის ცხენოსნები ოსმალეთის ჯარს ზურგის მხრიდან ჰზვერავენ.

ბულგარეთის ქვეითა ჯარი მტრის რაზმებს რკალივით გარს შემორტყმია (აქ ერთი ნაწილი მოსჩანს).

სილის ლაწანის ხმა გაისმა. ნუ, ნუ, ნუ სცდილობთ სამუშაო ოთახის კარის დახურვას; ცხრა კარ დაკეტილშიც გაიგონებთ!..

ერთად-ერთი საშუალებაა—სახლიდან წასვლა როგორ მოვახერხო? ცოლი ყოველივე თქვენ განძრევას ყურადღებას აქცევს, და თუ შეგატყოთ, წასვლას აპირებთ, მაშინვე შეურაცხყოფად მიიღებს, და ვაი თქვენი ბრალი! არაფრისა შერცხვება.

ჰო-ო! არ მოგწონთ მთელ ჩემს ძალღონეს რომ თქვენ განდომებთ კარგად სვათ, სჭამოთ და იმეცადინოთ?.. არ მოგწონთ, რომ ინტელიგენტ ქალისაგან, მზარეულ ქალად და თქვენი ბავშვების ბიჭად გადავიქეცე?.. ყველა ამის შემდეგ განა კიდევ უფლება გაქთ, ტუჩი აიწიოთ? თქვენ ჩემი სიცოცხლის მომსპობელი, ჩემი სისხლის მსმელი, ჩემი მტანჯველი ხართ! ხა-ხა-ხა ხა-ხა!..

ისტერიკა... აი სწორედ ამ დროს გეძლევათ საშუალება საჩქაროდ კარზედ გავარდეთ და ქუჩისკენ გაკურცხლოთ; იქ სიჩქარით რამდენიმე ადამიანს დაეჯახებით. სდგას ამოდონა ხალხი ტ გაკვირვებული თქვენს არა ნორმალულ სახის გამომეტყველებას შემოსცქერის.

რასაკვირველია იმ დღეს სასადილოდ სახლში არ წახვალთ. შეუხვევთ სადმე რესტორანში, შეთქვლიფავთ უგემურ სადილს, მოუჯდებით ჭიქა ლუდს და ფიქრობთ. ფიქრობთ იმაზედ, რაზედაც თქვენამდის ბევრს ამაოდ უფიქრია. ნეტავ ვიცოდე ჩვენი ქალები გათხოვებასთან ერთად ადამიანობას და ინტელიგენტობას რადა ჰკარგავენ? რადა სცდილობენ დედა-კაცად გადაქცევას და რად იშორებენ იმას, რაც მათ მშვენიერ და მიმზიდველ არსებად ჰქმნიდა? ნუ თუ ეს ყველაფერი თვალთ მაქცობაა—რომ ქმარი იშოვნონ და მერე სუყველაფერი დაჰკარგონ? ნუ თუ ყველა ის მშვენება არ შეიძლება ცოლის, დედის და დიასახლის მოვალეობას შეუერთონ?

III

— მომისმინეთ,—ვეუბნებოდი ერთს ლამაზს შავთვალა ქალს, რომელიც დაღვრემილი შემომცქეროდა:—ყოველ-დღიურ გახრწნილ ცხოვრებაში ვარ ჩაფლული. მე ვიტანჯები,

ვგრძნობ, რომ—ცოტა კიდევ—და ძალ-ღონეს გამომაცლის, ჩამითრევს თავის ტალღებში, და სამუდამოდ დავიღუპები!.. თქვენ ერთად-ერთი ბრწყინვალე სხივი ხართ ჩემ ცხოვრებაში! ყურს რომ გიგდებთ, ჩემს არსებაში მკვდრეთით დგება ყოველივე ის კეთილი, რაც დღემდის დამარხული იყო! ნება მომეცით შეგიყვაროთ, გიცქიროთ, ყური [გიგდოთ! მხოლოდ ამასა გთხოვთ!..

— თქვენ,—ცოლი გყავთ,—მიპასუხა ქალმა.

— გამიგონეთ,—მე თქვენ არაფერსა გთხოვთ. ჩემი სიყვარული თქვენ არავითარ მოვალეობას არა [გდებთ. მხოლოდ ნება მომეცით მიყვარდეთ, შეყვარებული თვალებით მინდა ყოველივე თქვენი გულის წადილი შევიტყო, მინდა თქვენ ჩრდილს, თქვენ ფეხის კვალს ვკოცნო!.. ოხ, ნუ იქნებით ეგრე მკაცრი.

— თქვენ ცოლი გყავთ,—მკაცრად მიპასუხა ქალმა.

— მე ცოლი არა მყავს,—წავილუღლუღე იმედ დაკარგულმა:—მე მტერი მყავს, რომელიც სიცოცხლეს მიწამლავს, თავის არსებობით მიხრწნის იმას, რითიც მე ვსუნთქავ და ვცოცხლობ. გეფიცებით, იმ მტერს თავიდან მოვიშორებ! მალე თავისუფალი ვიქნები!

— მაშინ ვნახავთ.

ეს იყო ქალის უკანასკნელი სიტყვა.

მე მაქვს პატარა აფთიაქი, სადაც, სხვათა შორის კუჭის ტკივილის წამალია—უფერო, მყრალი სითხე. აფთიაქის ყველა ბოთლები ერთი ყალიბისა და ფერისაა. ჩემმა ცოლმა ლათინური კითხვა არ იცის, მხოლოდ იმ ადგილს, სადაც კუჭის კაპლია, როდესაც საჭიროება მოითხოვს, მუდამ შეუცდომლად ჰპოულობს.

გულში ბოროტ-მოქმედება არა მდებია. მე მხოლოდ ღონიერ სიმკვავეს და კუჭის წამალს ადგილები შევუცვალე. როდესაც სახლში დავბრუნდი, ყველაფერი გათავებულიყო. გაყვითლებული, თვალებ გადმოცვინული იატაკზედ გაშტიოლიყო და პირიდან დორბლი სდიოდა. ის მკვდარი იყო, ოთახში დამწვარი ნუშის სუნი იდგა.

მისი სიკვდილი შემთხვევას დააბრალეს და ჩემზედ ეჭვი არავის აუღია. მაგრამ იმ ქალმა, რომელიც მე მიყვარდა, ზურგი შემომაქცია და უსიტყვოდ განმშორდა.

მარტოდ |მარტო დავრჩი. მარტო ვარ სახლში, ქუჩაში, ხალხში. სახლის სიჩუმე მტანჯავს და როგორც ცოლის კივილი, იძულებულ მხდის კარში გავვარდე. ცოლის სიკვდილის რამდენიმე დღის შემდეგ მომაგონდა, რომ შვილები მყვანდა.

IV

— რატომ სახლში თქვენი ხმა არ ისმის?—ვკითხე ჩემს ქალ-ვაჟს. ბავშვები კარებთან აბუზულიყვნენ და თავიანთ დიდრონი თვალებით როგორც უცხოს, ისე შემომყურებდნენ. უხერხულად გრძნობდნენ თავის თავს, თვალები კარებისკენ ეჭირათ, მათ გარეგნულ შეხედულებას უდედობა დასტყობოდა.

ოთხი წლის ვიტიამ, ხმა ამოიღო და მიპასუხა:

— დედამ გიბრძანა, როდესაც შენ შინა ხარ ჩუმად ვიყოთ.

— დედამ გვიბრძანათ ჩუმად იყოთ?

— ჰო,—დაიწყო ლაპარაკი მუროჩკამ,—დედამა სთქვა, რომ შენ მეცადინობ და იმიტომ ხმაურობა არ შეიძლება.

— დღეს რად გიტირიანთ?

მოგვეწყინა... დედა სუყოველთვის ზღაპრებს გვეუბნებოდა, ეხლა კი... ეხლა კი...

მუროჩკას გული ამოუჯდა, მუშტებით თვალების წმენდა დაიწყო. ვიტიაც სატირლად მოემზადა.

ორივენი მუხლებზე დავისვი. ეს იყო ჩემი პირველი მშობლიური ალერსი. დავუწყე კოცნა ცრემლებით დასველებულ ლოყებს. ბავშვები გაჩუმდნენ, გეგონებოდათ ჩემს ალერსს ყურს უგდებდნენ. უნდოდათ შეეტყოთ, გულწრფელია თუ არა. როდესაც მის გულწრფელობაში დარწმუნდნენ ყელზე ჩამომეკიდნენ.

— რაზე გელაპარაკებოდათ დედა?—შევეკითხე.

რაც კი რამ დარჩენოდათ ხსოვნაში დედის მშვენიერ ზღაპრებიდან, სწრაფად ჩამომითვალეს. გაკვირვებული მათს ჭიკჭიკს ყურს ვუგდებდი. ამ ჭიკჭიკმა გადამიშალა თვალ-წინ ის, რასაც ვერ ვპოულობდი ჩემთვის დაკარგულ ადამიანის სიცოცხლეში. ზღაპრები პოეტური, ლამაზი და ჭკვიანური იყო. მე ის ზღაპრები არსად არც გამიგია და არც წამიკითხავს, ალბად ჩემი ცოლი თითონ სთხზავდა. ეხლა კი მივხვდი, თუ საით ყოფილა მიმართული მის აზრი და გონება. მხოლოდ ის კი ვერ გამიგია, რად მიმალავდა ყველა ამას? რად იყო დაკეტილი როიალი და რატომ ამ შვიდი წლის განმავლობაში ერთხელ მაინც არ დაუკრა, მაშინ როდესაც გათხოვებამდის მშვენივრად ასრულებდა შოპენის, ჩაიკოვსკისა და მოცარტის კონცერტიულ ნაწარმოებებს?

და თითქოს ჩემ ფიქრს პასუხს აძლევსო, ვიტიამ შეაჩერა თავისი და, რომელიც დედის ზღაპარს გვიამბობდა, და წამოიყვირა:

— როგორ არა, შენ რომ მიდიოდი, მაშინ უკრავდა.

— როდესაც მე მივდიოდი?

— ჰო, უკრავდა, და მერე... ტიროდა...

როდესაც მე მივდიოდი, ის უკრავდა და მერე ტიროდა, მერე მე კი არაფერი ვიცოდი! ისე ვიცხოვრე მასთან შვიდი წელიწადი, რომ ვერ გავიცანი. მივეცი მას სამფლობელოდ: სამზარეულო, ბავშვები, ოჯახი, მოსამსახურე, სარეცხი, და როდესაც შევიდა იმ როლში, რომელიც თავს მოვახვიე, მაშინ უვარგისად მეჩვენა და ზურგი ვუბრუნე. ვერა ვგრძნობდი, რომ ის უვარგისი იყო მარტო ამ როლში; მეგონა, მას დაავიწყდა ჩემდამი სირცხვილი და თავის თავი ნამდვილ ქერქში მაჩვენა. ეხლა კი მესმის ის მხეცური სცენები, რომელნიც თავდებოდნენ ისტერიკით და ცრემლებით. მოთმინების ძაფი გაუწყდა და ჩემგან დამახინჯებულ ცხოვრების ტანჯვას პირში მახლიდა.

V

ერთხელ ქუჩაში მივდიოდი. ერთი ქალის შეხვედრამ ამაღელვა. მე შევამჩნიე ის შავი თვალები, რომელნიც შეცოდებით დამცქეროდნენ იმ დროს, როდესაც მისგან სიყვარულსა ვთხოულობდი. უეცრივ შევჩერდი—მერე დავედევნე. კუთხესთან ვიღაცა ქალს ლაპარაკი დაუწყო. მე შორიახლოს ველოდებოდი. არ შემეშალა. ის არის, მისი სახე, მისი ხმა, მისი მიხვრა-მოხვრა.

ნაცნობ ქალს ეუბნებოდა:

იცით, როგორ ვიტანჯები? ჩემი დუნკა სალახანა, ქურდ ბაცაცა გამომადგა! ლიფი მომპარა, იცით ის ცის ფერი ლიფი, რომელსაც მშვენიერი აბრეშუმის არშია ჰქონდა შემოვლებული! კიდევ ერთი წყვილი ახალთ-ახალი ჩულქები, რომლებიც მხოლოდ ერთხელ მეცვა. რასაკვირველია თავისი თავი დამნაშავედ არ იცნო, მაგრამ მე გავაგდე კიდეც და კაპიკი ფულიც არ მივეცი. უნდა სუყოველთვის მკაცრად მოეკიდოთ მაგათ!

ყურს ვუგდებდი და არა მჯეროდა. ნუ თუ ეს ის ქალია რომელსაც მარტო მუზიკაზე და სურათებზედ შეეძლო ლაპარაკი? ნუ თუ ეს ის ქალია, რომელიც მარტო ბუნებითა და გენიოსური ნაწარმოებით მოდიოდა აღტაცებაში? ნუ თუ ის ადამიანია, რომელიც ისე მაღლა იდგა დღიურ ცხოერებაზე:

მივუახლოვდი მას. მიცნო, მისი თვალები აღარ მიყურებდნენ ისე მკაცრად, როგორც ცოლის სიკვდილის შემდეგ.

შევეკითხე:

— ვინ არის თქვენი ქმარი?

— ო, ჩემი ქმარი გამოჩენილი პოეტი №-ია, რასაკვირველია თქვენ გაგეგონებათ!..

— გამიგონია და მისი გამოჩენილი ნაწარმოებიც წამიკითხავს. მაგრამ თქვენ აგრე ცუდად რად გამოიყურებით?—შევეკითხე და გაშმაგებული მის გამხდარ სახეს ჩავაშტერდი.

მის თვალებს ნაღვლიანი ნისლი გადაეფარა.

— თქვენ ჩემი ძველი მეგობარი ხართ,—წაილუღლუღა მან,—მე ეს თამამად შემიძლიან გითხრათ... მე ეხლა უბედური ვარ... როდესაც ვთხოვდებოდი, ამას არ მოველოდი. მეგონა, ის პოეტია და ჩემ ცხოვრიბაში პოეზიას, ბედნიერებას, სიყვარულსა და ხელოვნებას შემოიტანდა... მთელი კვირაობით ჩემს ქმარს ვერა ვხედავ, სახლი ჩემს ამარაა. სამზარეულო, ბავშვები მოსამსახურე—ყველა ეს ჩემს ამარასაა მოგდებული. იმდენი დრო არა მაქვს, ჩემი ქმრის ნაწარმოები წავიკითხო... მე მაინც ვერ გავამტყუნებ მას, არ შეიძლება გასაჯო იგი, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, მაგრამ.... ხანდისხან..... მე მძაგს იგი...

ხელსახოცი თვალებზე მიიფარა; ტუჩები აუძაგძაგდა. მხრებმა არა ჩვეულებრივ შეუთამაშეს...

ინი.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12. რედაქტორ-გამომცემელი ნ. **კურდღელაშვილი.**